ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი № 3

ქ. ლანჩხუთი **26.02.2024 წელი**
12:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა წულაძე.
კომისიის წევრები: გოჩა ჯანაშია, კარლო კვიტაიშვილი, გიორგი ჩახვაძე, გიორგი იმნაიშვილი.

მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი ვარდენ კვაჭაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი თამარ ფირცხალაიშვილი.

კომისიის სხდომას არ ესწრებოდა დეპუტატები: კახაბერ ასკურავა, გივი ცინცაძე, ალექსანდრე მახათაძე, ვლადიმერ ნანაძე.

კომისიის თავმჯდომარემ, **ზაზა წულაძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1.,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ ,,საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისათვის" (ს/ნ 402157330) პირდაპირი განკარგვის წესით, ორი წლის ვადით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ზაზა წულაძე/

2.სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარემ, ზაზა წულაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:
დღის წესრიგის პროექტის მიმართ კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.
მომხრე 5; წინააღმდეგი-არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ ,,საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისათვის" (ს/ნ 402157330) პირდაპირი განკარგვის წესით, ორი წლის ვადით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა ვარდენ კვაჭაძემ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, 2024 წლის 7 თებერვლის 1000395 4 24 00147631 წერილით, მომართა ა(ა)იპ ,,საქართველოს სამედიცინო

ჰოლდინგის“ დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი ენუქიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ მის დაწესებულებას სარგებლობაში ჰქონდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, მაგრამ ამ ეტაპისათვის პირველადი ჯანდაცვის სერვისების მიწოდების ხარისხის გაუმჯობესებისა და ამბულატორიისთვის განკუთვნილი ფართის რეაბილიტაციის მიზნით, ესაჭიროება უკვე სხვა საკადასტრო კოდზე არსებული, მუნიციპალური უძრავი ქონების - (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ ჩოჩხათის მე-4 ქუჩის 45-ში მდებარე შენობა-ნაგებობის (ს/კ 27.13.43.001) პირველ სართულზე არსებული ორი ოთახი, კერძოდ 14, 63 კვ.მ. N13 ფართი (ს/კ 27.13.43.001 01/508) და 15,92 კვ.მ. N14 ფართი (ს/კ 27.13.43.001 01/509)) სარგებლობის უფლებით გადაცემა ორი წლის ვადით.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

სხდომის თავმჯდომარემ, ზაზა წულაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 5, წინააღმდეგი არცერთი.

სხვადასხვა.

დეპუტატმა ზაზა წულაძემ აღნიშნა, რომ სოფელ ქვიანში საბავშვო ბაღის ეზოში არის 100 წლიანი ნაძვის ხეები. მშობელთა თხოვნაა, რომ მოხდეს არსებული ხეების გადაბელვა, ან უკიდურეს შემთხვევაში საერთოდ იქნას მოჭრილი, ვინაიდან ნაძვის ხეები საშიშროებას წარმოადგენს ბავშვებისთვის და შენობა-ნაგებობისთვის.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: **/ ზაზა წულაძე/**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომის დასკვნა №3

26.02.2024 წელი
12.00 საათი

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 26 თებერვალს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხი:

1.,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ ,,საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისათვის" (ს/ნ 402157330) პირდაპირი განკარგვის წესით, ორი წლის ვადით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ზაზა წულაძე/

დღის წესრიგის პირველი საკითხი:,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, ა(ა)იპ ,,საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისათვის" (ს/ნ 402157330) პირდაპირი განკარგვის წესით, ორი წლის ვადით, უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

მომხრე 5, წინააღმდეგი არცერთი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: **ზაზა წულაძე**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

26.02. 2024 წელი
12:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ზაზა წულაძე	11 50	
2	ალექსანდრე მახათაძე	არ ესწრებოდა	
3	კარლო კვიტაიშვილი	11 55	
4	გიორგი იმნაიშვილი	11 55	
5	ვლადიმერ ნანაძე	არ ესწრებოდა	
6	გიორგი ჩახვაძე	11 55	
7	გივი ცინცაძე	არ ესწრებოდა	
8	კახაბერ ასკურავა	არ ესწრებოდა	
9	გოჩა ჯანაშია	11 55	